გადაწყვეტილება №გ-1/701/2018

სს „ა“-ს შემოწმების დასრულების შესახებ

ქ. თბილისი **26/12/2018**

აღწერილობითი ნაწილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 11 ივლისის №03/101 ბრძანების შესაბამისად, 2018 წლის 11 ივლისიდან 2018 წლის 11 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, ჩატარდა სს „ა“-ს (ს/კ *********); სავაჭრო ნიშანი - „***“, (შემდგომში - „კომპანია“) შემოწმება, რომელიც მოიცავდა კომპანიის მიერ სასტუმროს მართვის პროცესში სტუმრებთან დაკავშირებით პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და ვიდეოთვალთვალის სისტემ(ებ)ის მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლას.

შემოწმების შედეგად, კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის და ადგილზე დათვალიერების შედეგად გამოვლინდა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1. **სასტუმროს მართვის პროცესში სტუმრების პერსონალური მონაცემების დამუშავება**

- კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, სასტუმრო „***“ ფუნქციონირებს 2016 წლის 23 სექტემბრიდან, ხოლო კომპანია სასტუმროს მართავს 2017 წლის 31 მარტიდან. კომპანიის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს სასტუმროს მართვა, რაც მოიცავს ქალაქ ბათუმში განთავსებულ სასტუმრო „***“-ში სტუმრების მიღება-განთავსებას. ზემოაღნიშნული მომსახურების პროცესში კომპანია ამუშავებს სტუმრების პერსონალურ მონაცემებს;
- სასტუმროს მართვის პროცესში სტუმრების შესახებ მონაცემთა დამუშავებისას (სასტუმროში სტუმრის განთავსება-რეგისტრაციისა და ჯავშნების ასახვის მიზნით) კომპანია იყენებს პროგრამულ უზრუნველყოფა „A***“-ს (შემდგომში - „A***“);
- სასტუმროში სტუმრის განთავსება/რეგისტრაციისას, სტუმარი ავსებს სარეგისტრაციო ბარათს და ხელმოწერით ადასტურებს მასში მითითებულ ინფორმაციას. ამასთან, სასტუმროს უფლებამოსილი პირი ახდენს სტუმრის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის (პასპორტის/პირადობის დამადასტურებელი მოწმობის) ასლის გადაღებას და აღნიშნულ დოკუმენტებში არსებული ინფორმაციის ასახვას „A***“-ში.
- „A***“-ს მეშვეობით სტუმრების შესახებ მუშავდება შემდეგი მონაცემები: *სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, ქვეყანა (ტურისტთა რაოდენობის სტატისტიკური*

ანალიზის წარმოების მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტში ინფორმაციის მისაწოდებლად), საკონტაქტო ინფორმაცია, სასტუმროში შემოსვლისა და გასვლის თარიღები, ოთახის კატეგორია და ნომერი, სტუმრების რაოდენობა და *სტუმრის მიერ სასტუმროს საფასურის გადახდის (ანგარიშსწორების წესი)* შესახებ ინფორმაცია;

- სარეგისტრაციო ბარათში ასახულია შემდეგი მონაცემები: სტუმრის სახელი და გვარი, ჯავშნის ნომერი, ოთახის ნომერი, სასტუმროში განთავსებისა და გასვლის თარიღები, მობილური ტელეფონი, ტრანსპორტის ნომერი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, პროფესია, მოქალაქეობა, ინფორმაცია არის თუ არა სტუმარი ნამყოფი სასტუმროში. თუმცა, სარეგისტრაციო ბარათში სტუმრის მიერ სავალდებულოდ შესავსებ მონაცემებს წარმოადგენს მხოლოდ სახელი და გვარი, სატელეფონო ნომერი, ჯავშნის ნომერი, ოთახის ნომერი, სასტუმროში განთავსებისა და სასტუმროდან გასვლის თარიღები, რაც ასევე დასტურდება სტუმრის მიერ შევსებული სარეგისტრაციო ბარათის ასლით. სარეგისტრაციო ბარათი ასევე მოიცავს ცალკე დანაყოფს თანმხლები პირების შესახებ, თუმცა ბარათში სტუმრის თანმხლების პირის შესახებ მონაცემები არ აისახება. აღნიშნული გარემოება დასტურდება სტუმრის *(რომელსაც ახლდა თანმხლები პირი)* მიერ შევსებული სარეგისტრაციო ბარათის ასლით. თანმხლები პირი, სასტუმროში განთავსებისას წარადგენს საკუთარ პირადობის დამადასტურებელ მოწმობას ან/და პასპორტს და ხელს აწერს სასტუმროს უფლებამოსილი პირის მიერ გადაღებული ამავე დოკუმენტის ქსეროასლს;
- კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, სტუმრის (მათ შორის თანმხლები პირის) პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძველს წარმოადგენს მათივე თანხმობა და ემსახურება სტუმრებისთვის მომსახურების გაწევისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნებს;
- სტუმრის მიერ სასტუმროს ნომრის დაჯავშნა შესაძლებელია განხორციელდეს ჯავშნის ვებგვერდ(ებ)ის (www.***.ge, www.Booking.com, www.expedia.com და სხვა), ელექტრონული ფოსტის, სატელეფონო ზარის მეშვეობით და ადგილზე (სასტუმროში) მისვლით;
- სასტუმროს ნომრის ჯავშნის ეტაპზე კომპანია ამუშავებს სტუმრის შემდეგ პერსონალურ მონაცემებს - *სახელი, გვარი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა, სასტუმროში შესვლისა და გასვლის თარიღები, ოთახის კატეგორია და კონკრეტულ ნომერში განსათავსებელი სტუმრების რაოდენობა.* ჯავშნის განხორციელების ეტაპზე სასტუმრო არ ამუშავებს სტუმრის თანმხლები პირების პერსონალურ მონაცემებს;
- ჯავშნის ვებგვერდების მეშვეობით მიღებული ჯავშანი ავტომატურად იგზავნება სასტუმროს ელექტრონულ ფოსტაზე. აღნიშნული ჯავშნის მოთხოვნები, ისევე როგორც ადგილზე (სასტუმროში) მისვლითა და სატელეფონო გზით მიღებული ჯავშნის მოთხოვნისას მიღებული ინფორმაცია აისახება „A***“-ში;
- კომპანიის წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კომპანია სტუმართა პერსონალური მონაცემების შემცველ მატერიალური სახის დოკუმენტაციას მონაცემთა უსაფრთხოების მიზნით ინახავს 3 წლიდან 5 წლამდე ვადით, ხოლო „A***“-ში ასახული მონაცემები ინახება უვადოდ *(იშლება მხოლოდ ჯავშნის მოთხოვნა სტუმრის მიერ ჯავშნის გაუქმებისას, გარდა ჯავშნის ვებგვერდ(ებ)ის მეშვეობით მიღებული ჯავშნებისა).* კომპანიის განმარტებით, „A***“-ში ასახული მონაცემების წაშლა ვერ

ხორციელდება, თუმცა წარმომადგენლის მიერ ცალსახად ვერ იქნა დასახელებული კონკრეტული მიზეზი. ამასთან, კომპანიას არ აქვს შემუშავებული შესაბამისი წესი, რითაც განსაზღვრული იქნებოდა სტუმრის პერსონალური მონაცემების შენახვის ვადები. თუმცა, კომპანიის მითითებით, კანონით გათვალისწინებულ ვადებში გეგმავს პერსონალური მონაცემების შემცველი მატერიალური სახის დოკუმენტაციის განადგურებას;

- კომპანიის განმარტებით, ჯავშნის გაუქმების შემთხვევაში, „A***"-ში ჯავშნის ვებგვერდების მეშვეობით დარეგისტრირებული ჯავშნის წაშლა არ ხდება და მას ენიჭება სტატუსი - „გაუქმებული". გაუქმებული ჯავშნების შესახებ ინფორმაციას კომპანია ინახავს ზედმეტი ხარჯების თავიდან აცილების მიზნით (კომპანიას ჯავშნის ვებგვერდების მეშვეობით სტუმრის განთავსების შემთხვევაში, დამატებით უწევს ჯავშნის ვებგვერდის მომსახურების მოსაკრებლის გადახდა, ხოლო ჯავშნის გაუქმების შემთხვევაში, აღნიშნული ხარჯის გაღების ვალდებულება კომპანიას აღარ აქვს). ხოლო, სხვა გზებით განხორციელებული ჯავშნების გაუქმების შემთხვევაში, კომპანია შლის ჯავშნის განმახორციელებელი პირის პერსონალურ მონაცემებს. ამასთან, „A***"-ში ასახული გაუქმებული ჯავშნის ყველაზე ძველი მონაცემი თარიღდება 2016 წლის 25 სექტემბრით;
- შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ „A***"-ში ასახული სტუმრის რეგისტრაციის (სასტუმროში განთავსების) შესახებ ყველაზე ძველი მონაცემი თარიღდება 2016 წლის 26 სექტემბრით, ხოლო მატერიალური სახით შენახული ყველაზე ძველი სარეგისტრაციო ბარათი თარიღდება 2016 წლის 25 სექტემბრით.

2. პერსონალურ მონაცემებზე წვდომა და მონაცემთა უსაფრთხოების დაცვა

- „A***"-ზე წვდომა ხორციელდება ინდივიდუალური მომხმარებლის სახელითა და პაროლით. კომპანიის 2018 წლის 09 ნოემბრის №PDP 6 18 00047053 წერილისა და კომპანიის წარმომადგენლის განმარტების თანახმად, სასტუმროს მართვის პროცესში სტუმრის პერსონალურ მონაცემებზე წვდომა აქვს კომპანიაში დასაქმებულ 06 (ექვსი) პირს. კერძოდ, 04 (ოთხი) ადმინისტრატორს (სტუმრის მიღება/განთავსების, რეგისტრაციის მიზნით), სუპერვაიზერს (სასტუმროს მიმღები დეპარტამენტის თანამშრომელთა მონიტორინგისა და დამუშავებული მონაცემების სიზუსტის გადამოწმების მიზნით) და ე.წ. ფრონტ ოფისის მენეჯერს (სასტუმროს მიმღები დეპარტამენტის თანამშრომელთა მონიტორინგისა და დამუშავებული მონაცემების სიზუსტის გადამოწმების მიზნით);
- მატერიალური ფორმით არსებული სტუმრების სარეგისტრაციო ბარათები თანდართული დოკუმენტაციით ინახება საკეტით დაცულ ოთახში და მასზე წვდომა, კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, აქვს მხოლოდ მიღება-განთავსების დეპარტამენტის ხელმძღვანელს;
- „A***"-ს გააჩნია მონაცემთა მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვის ელექტრონული ჟურნალი (ე.წ. „ლოგირება"), სადაც ფიქსირდება მონაცემთა მიმართ განხორციელებული ყველა მოქმედება, აღნიშნული ქმედების განმახორციელებელი პირი (მომხმარებელი) და თარიღი/დრო;
- კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, სასტუმროში აქტიურია ინტერნეტის უსადენო ლოკალური ქსელი (WIFI), თუმცა კომპანიისთვის არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია, თუ რომელ ვებგვერდებს ეწვევა სტუმარი;

- „A***“-ს გამართულად ფუნქციონირებისთვის კომპანია იყენებს სხვა კომპანიის, კერძოდ, სს „ბ“-ს (ს/კ *********) მომსახურებას, რომელსაც წვდომა აქვს პროგრამულ უზრუნველყოფაში დაცულ სტუმრების პერსონალურ მონაცემებთან. კომპანიის მიერ წარმოდგენილ იქნა სს „გ“-ს (კომპანია აღნიშნული სახელწოდებით ფუნქციონირებდა 2017 წლის 09 ნოემბრამდე) და შპს „ბ“-ს (2018 წლის 15 თებერვალს განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად, შპს „ბ“-მ შეიცვალა სამართლებრივი ფორმა და გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად) შორის 2017 წლის ** სექტემბერს დადებული „ტექნიკური სერვისისა და დათვალიერების შეთანხმება“, რომლის თანახმად, შპს „ბ“ კომპანიას უწევს კომპიუტერულ მომსახურებას, რაც მოიცავს კომპიუტერული სისტემ(ებ)ის შეკეთებისა და გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფას. აღსანიშნავია, რომ მხარეთა შორის დადებული აღნიშნული შეთანხმება არ ითვალისწინებს შპს „ბ“-ს მიერ სტუმართა პერსონალური მონაცემების დამუშავების უფლებას და, შესაბამისად, ხელშეკრულებაში არ არის გათვალისწინებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესები და აკრძალვები. ხელშეკრულება ასევე არ ითვალისწინებს შპს „ბ“-ს მხრიდან პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დაცვის ვალდებულებებსა და გარანტიებს.

3. **პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით**

- კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნებისთვის, სასტუმროში განთავსებულია 142 (ას ორმოცდაორი) ერთეული ვიდეოსათვალთვალო კამერა. სასტუმროს შენობაში დამონტაჟებული კამერების ხედვის არეალი მოიცავს სასტუმროს შენობის გარე და შიდა პერიმეტრს. კერძოდ, სასტუმროს შესასვლელებს, დარბაზს, სასტუმროს მისაღებ სივრცეს (სადაც ხდება სტუმრის დახვედრა/რეგისტრაცია), რესტორნის სივრცეს, ავტოსადგომის შესასვლელსა და შიდა სივრცეს, ლიფტების შესასვლელსა და დერეფნებს, აუზს, სპორტ-დარბაზის სივრცეს და სეიფის განთავსების ოთახს;
- სასტუმროს შიდა პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოსათვალთვალო კამერების ხედვის არეალში (სასტუმროს მისაღები) ექცევა სასტუმროში დასაქმებული პირების სამუშაო ადგილი. აღნიშნულ ადგილზე განთავსებულია ძვირადღირებული ინვენტარი და კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, ვიდეომონიტორინგის მიზანს წარმოადგენს საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვა, ვინაიდან ხდება სტუმრებთან ფულადი ანგარიშსწორება. ამასთან, კომპანიაში დასაქმებული პირები წერილობით არ არიან ინფორმირებული მათ სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობისა და მათი უფლებების შესახებ. აღნიშნულის თაობაზე დასაქმებული პირები ინფორმირებულნი არიან ზეპირსიტყვიერად და სასტუმროში განთავსებული გამაფრთხილებელი ნიშნების მეშვეობით;
- შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ სასტუმროს შენობის როგორც გარე (მათ შორის სასტუმროს შესასვლელთან), ისე შიდა პერიმეტრზე განთავსებულია გამაფრთხილებელი ნიშნები ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ;
- 2018 წლის 21 ივლისს სასტუმროში განხორციელებული შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ სასტუმროში დამონტაჟებულია 1.3 მეგაპიქსელიდან 4 მეგაპიქსელამდე

გარჩევადობის, ღამის ხედვის ფუნქციის მქონე 142 (ას ორმოცდაორი) „***“ ტიპის „***“-ს ფირმის ვიდეოსათვალთვალო კამერა. აქედან მხოლოდ 04 (ოთხი) ვიდეოსათვალთვალო კამერას გააჩნია მანევრირების, 01 (ერთი) ვიდეოსათვალთვალო კამერას - ობიექტის გადიდების (ე.წ. „zoom“) და 01 (ერთი) ვიდეოსათვალთვალო კამერას - აუდიოჩაწერის ფუნქცია. შემოწმების ფარგლებში ასევე დადგინდა, რომ ვიდეოსათვალთვალო სისტემაში გათიშულია აუდიოჩაწერის ფუნქცია და სასტუმროში აუდიოჩაწერა არ მიმდინარეობს;

- სასტუმროში განთავსებული ვიდეოსათვალთვალო კამერები დაკავშირებულია „***“-ის ფირმის 09 (ცხრა) ქსელურ ვიდეოჩამწერ მოწყობილობასთან, რომელიც განთავსებულია სასტუმროს ტერიტორიაზე არსებულ ე.წ. „****“ ოთახში და დაცულია არაავტორიზებული წვდომისგან. ამასთან ოთახში ყოველი შესვლა აღირიცხება შესაბამის მატერიალურ ჟურნალში. ვიდეოჩამწერ მოწყობილობებზე წვდომა ხორციელდება სასტუმროში განთავსებული სტაციონალური კომპიუტერის მეშვეობით. სისტემის დახმარებით შესაძლებელია სასტუმროში როგორც პირდაპირ (უწყვეტ) რეჟიმში ჩანაწერებზე წვდომა, ასევე ვიდეოთვალთვალის შედეგად მიღებული ჩანაწერების დათვალიერება და ამოღება (ე.წ. „ექსპორტი“). ვიდეოსათვალთვალო სისტემასთან დასაკავშირებლად საჭიროა ობიექტზე არსებული ჩამწერი მოწყობილობის „IP“ მისამართის, მომხმარებლის სახელისა და პაროლის ცოდნა;
- ვიდეოსათვალთვალო სისტემაში შექმნილია 01 (ერთი) მომხმარებელი - „admin“, რომელსაც გააჩნია ადმინისტრატორის უფლებები, რაც გულისხმობს შემდეგს: ვიდეოსათვალთვალო სისტემაში მომხმარებლის პროფილების შექმნა, მათი წვდომებისა და უფლებების განსაზღვრა, ვიდეოჩანაწერზე პირდაპირ (უწყვეტ) რეჟიმში წვდომა, ვიდეოსათვალთვალო კამერების შედეგად მიღებული ჩანაწერების დათვალიერებისა და ამოღების (ექსპორტის) უფლება. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული მომხმარებელი ისევე, როგორც სტაციონალური კომპიუტერი დაცულია მომხმარებლის სახელითა და პაროლით;
- ვიდეოსათვალთვალო სისტემას გააჩნია მონაცემთა მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვის ელექტრონული ჟურნალი (ე.წ. „ლოგირება“), რომელიც ინახება 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში და მასში აღირიცხება მომხმარებლების მიერ სისტემაში შესვლა, სისტემის კონფიგურაციაში განხორციელებული ცვლილებები და ვიდეოჩანაწერების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედება. ვიდეოსათვალთვალო სისტემის მონაცემთა მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვის ელექტრონულ ჟურნალში ყველაზე ძველი ჩანაწერი თარიღდება 2018 წლის 24 ივნისით;
- კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ვიდეოთვალთვალის შედეგად მოპოვებულ მონაცემებზე წვდომა აქვს კომპანიის უსაფრთხოების დეპარტამენტის 02 (ორი) თანამშრომელს - დაცვის სამსახურის უფროსს და სამეთვალყურეო დეპარტამენტის ზედამხედველს. ამასთან, დაცვის უფროსი და სამეთვალყურეო დეპარტამენტის ზედამხედველი ვიდეოსათვალთვალო სისტემაში შესასვლელად იყენებენ ერთი და იგივე მომხმარებლის სახელსა („admin“) და პაროლს;
- ვიდეოსათვალთვალო სისტემაში ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადა დამოკიდებულია ვიდეოთვალთვალის სისტემის მეხსიერების მყარი დისკის მოცულობაზე, რომელიც შეადგენს 11.16 TB-ს. ვიდეოჩანაწერები საშუალოდ ინახება 28 (ოცდარვა) კალენდარული

დღის განმავლობაში და აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, ახალი ჩანაწერი ავტომატურად ანაცვლებს ძველს. 2018 წლის 21 ივლისს ადგილზე შემოწმების დროს მოძიებული, სისტემაში დაცული ყველაზე ძველი ვიდეოჩანაწერი თარიღდებოდა 2018 წლის 24 ივნისით.

4. შემოწმების შედეგად დადგენილი სხვა ფაქტობრივი გარემოებები

- შემოწმების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის მიერ 2018 წლის 14 სექტემბერს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი წერილითა (რომელიც კომპანიას ჩაბარდა იმავე დღეს) და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის 2018 წლის 12 ოქტომბრის №PDP 6 18 00026209 წერილით (რომელიც, კომპანიას ჩაბარდა 2018 წლის 17 ოქტომბერს) კომპანიას ეთხოვა სტუმრის მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის და დოკუმენტაციის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატისთვის წარმოდგენა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ ვადაში, რაც კომპანიის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში არ განხორციელებულა;
- აპარატის 2018 წლის 02 ნოემბრის №PDP 7 18 00046956 წერილით კომპანიას განმეორებით ეთხოვა ზემოაღნიშნული წერილებით მოთხოვნილი ინფორმაციის და დოკუმენტაციის წარმოდგენა დაუყოვნებლივ, ინფორმაციის დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობის მიზეზების მითითებით. კომპანიამ 2018 წლის 09 ნოემბრის №PDP 6 18 00047053 წერილით წარმოადგინა მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილი და განმარტა, რომ კომპანიაში განხორციელებული მენეჯმენტის ცვლილების გამო ვერ უზრუნველყო ინფორმაციის დროულად მოწოდება. ამავე წერილით კომპანიამ გამოთქვა მზადყოფნა, ეთანამშრომლა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატთან, რის შემდგომაც კომპანიამ მოთხოვნილი ინფორმაცია აპარატს წარმოუდგინა 2018 წლის 16 ნოემბრის №PDP 3 18 00047186 წერილით.

2018 წლის 11 დეკემბერს სს „ა“-ს მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის, მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-16 მუხლით დადგენილი წესებისა და 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევის ფაქტზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები №0000716, №0000718, №0000717 და №0000715. შემოწმების დასრულების შედეგების, სამართალდარღვევის ოქმების გაცნობისა და მათი ხელმოწერის მიზნით კომპანიის წარმომადგენელი აპარატში დაგეგმილ შეხვედრაზე არ გამოცხადდა.

სამოტივაციო ნაწილი

შემოწმების ოქმის საფუძველზე დგინდება, რომ სტუმრების/პოტენციური სტუმრების შესახებ კომპანიის მიერ მუშავდება შემდეგი მონაცემები: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, ქვეყანა, საკონტაქტო ინფორმაცია, სასტუმროში შესვლისა და გასვლის თარიღები, ჯავშნის ნომერი, ოთახის კატეგორია და ნომერი, სტუმრების რაოდენობა, საფასურის გადახდის შესახებ ინფორმაცია, ასევე, საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ასლი. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) მე-2 მუხლის „ა“,

„დ“ და „ი“ პუნქტების საფუძველზე, სახეზეა პერსონალურ მონაცემთა დამუშავება მონაცემთა დამმუშავებლის - კომპანიის მიერ. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებული საფუძვლ(ებ)ის არსებობისას და პრინციპების დაცვით. კანონის მე-5 მუხლის „ა“ და „თ“ პუნქტების თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა, ასევე, თუ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტისთვის მომსახურების გასაწევად. მოცემულ შემთხვევაში, შემოწმების ოქმის საფუძველზე დგინდება, რომ კომპანია მონაცემთა სუბიექტების (სტუმრების) თანხმობით, მათთვის მომსახურების გაწევისა და უსაფრთხოების მიზნით შეგროვების, შენახვის, გადაცემის, გამოყენებისა და კომბინაციის გზით ამუშავებს მონაცემთა სუბიექტების მიერ სასტუმროსთვის მიწოდებულ პერსონალურ მონაცემებს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა იმსჯელა კომპანიის შემოწმების შედეგად გამოვლენილი სამართალდარღვევების და ნაკლოვანებების თაობაზე.

1. *ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით პერსონალური მონაცემების დამუშავება*

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლი ადგენს საჯარო და კერძო დაწესებულებათა შენობების ვიდეოთვალთვალის სპეციალურ წესს. კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, საჯარო და კერძო დაწესებულებებს შესაბამისი მონიტორინგის განხორციელების მიზნით შეუძლიათ განახორციელონ თავიანთი შენობების ვიდეოთვალთვალი, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, არასრულწლოვნის მავნე ზეგავლენისაგან დაცვისა და საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნებისათვის. ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით მონიტორინგის განხორციელებისას, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია თვალსაჩინო ადგილას განათავსოს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი. ამ შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტი მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე ინფორმირებულად ითვლება.

მოცემულ შემთხვევაში, შემოწმების ოქმის საფუძველზე დადგენილი გარემოებაა, რომ კომპანია მის მფლობელობაში არსებულ ობიექტში ახორციელებს ვიდეოთვალთვალს. კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, ვიდეოთვალთვალი ხორციელდება საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნებისთვის. ვიდეომონიტორინგის ხედვის არეალი მოიცავს სასტუმროს გარე და შიდა პერიმეტრს, კერძოდ, სასტუმროს შესასვლელებს, დარბაზს, სასტუმროს მისაღებ სივრცეს (სადაც ხდება სტუმრის დახვედრა/რეგისტრაცია), რესტორნის სივრცეს, ავტოსადგომის შესასვლელსა და შიდა სივრცეს, ლიფტების შესასვლელსა და დერეფნებს, აუზს, სპორტ-დარბაზის სივრცეს და სეიფის განთავსების ოთახს. სასტუმროს მისაღები იმავდროულად წარმოადგენს სასტუმროში დასაქმებული პირების სამუშაო სივრცეს. აღნიშნულ ადგილზე განთავსებულია ძვირადღირებული ინვენტარი და კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, ვიდეომონიტორინგის მიზანს წარმოადგენს საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვა, ვინაიდან სამუშაო ადგილზე მიმდინარეობს სტუმრებთან ფულადი ანგარიშსწორება. ამდენად, რადგანაც ობიექტზე მყოფი პირების და კომპანიის ფულადი თუ სხვა ფასეულობათა დაცვა, მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, კომპანიის მნიშვნელოვანი კანონიერი ინტერესია, აღნიშნული შეიძლება ჩაითვალოს ვიდეოთვალთვალის მკაფიო

მიზნად. არსებითია, რომ კომპანიას თვალსაჩინო ადგილას განთავსებული აქვს ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშნებიც.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტების თანახმად, სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის სისტემის დაყენება შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, ასევე საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნებისათვის და თუ ამ მიზნების სხვა საშუალებით მიღწევა შეუძლებელია. სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის სისტემის გამოყენებისას შესაბამის კერძო ან საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული ყველა პირი წერილობითი ფორმით უნდა იყოს ინფორმირებული ვიდეოთვალთვალის განხორციელებისა და მისი უფლებების შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში, შემოწმების ოქმის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის №0000716 საფუძველზე დგინდება, რომ ვიდეოთვალთვალის ხედვის არეალში ექცევა სასტუმროს თანამშრომლების სამუშაო ადგილები, თუმცა კომპანიაში დასაქმებული პირები სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობისა და მათი უფლებების შესახებ წერილობითი ფორმით არ არიან ინფორმირებულები, რაც არღვევს ვიდეოთვალთვალის კანონით დადგენილ წესს. როგორც აღინიშნა, სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის განხორციელების შემთხვევაში, კანონი იმპერატიულად მოითხოვს დასაქმებულთა წერილობითი ფორმით ინფორმირებას ვიდეოთვალთვალის განხორციელებისა და მათი უფლებების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის მიერ ადგილი აქვს ვიდეოთვალთვალის განხორციელებას „პერონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესის დარღვევით, რაც წარმოადგენს ამავე კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

2. მონაცემთა უსაფრთხოების დაცვა

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია უზრუნველყოს ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა. არაელექტრონული ფორმით არსებულ მონაცემთა დამუშავებისას მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია უზრუნველყოს მონაცემთა გამჟღავნებასთან ან/და ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების აღრიცხვა. ამდენად, ელექტრონული ფორმით დაცული მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მათზე წვდომის ადვილად ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების აღრიცხვის საშუალებას გააჩნდეს მონაცემთა მიმართ შესრულებული

ნებისმიერი მოქმედების აღრიცხვის, მათ შორის მონაცემების დათვალიერების და ამოღების აღრიცხვის შესაძლებლობა, რათა არ მოხდეს ელექტრონული ფორმით შენახული მონაცემების უკანონო მოპოვება, გამჟღავნება, გამოყენება, განადგურება და ა.შ. ხოლო, ასეთი მოქმედების არსებობისას შესაძლებელი იყოს პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირება.

შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ სასტუმროს ვიდეოსათვალთვალო სისტემაში შექმნილია 01 (ერთი) მომხმარებელი - „admin“, რომელსაც გააჩნია სისტემაში მომხმარებლის პროფილების შექმნის, მათი წვდომებისა და უფლებების განსაზღვრის, ვიდეოჩანაწერზე პირდაპირ (უწყვეტ) რეჟიმში წვდომის, ვიდეოსათვალთვალო კამერების შედეგად მიღებული ჩანაწერების დათვალიერებისა და ამოღების (ექსპორტის) უფლება. ვიდეოსათვალთვალო სისტემას ასევე გააჩნია მონაცემთა მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვის ელექტრონული ჟურნალი (ე.წ. „ლოგირება“), სადაც აღირიცხება ვიდეოჩანაწერების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედება. თუმცა, ვიდეოსათვალთვალო სისტემაზე წვდომა აქვს კომპანიის უსაფრთხოების დეპარტამენტის 02 (ორი) თანამშრომელს, რომლებსაც არ გააჩნიათ პერსონიფიცირებული მომხმარებლის სახელი და სისტემაში შესასვლელად იყენებენ ერთი და იგივე მომხმარებლის სახელსა („admin“) და პაროლს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის მიერ აღირიცხება მომხმარებლის სახელით შესრულებული მოქმედებები, შეუძლებელი ხდება იდენტიფიცირება წვდომის უფლების მქონე რომელმა პირმა განახორციელა მონაცემების დამუშავება. ამდენად, მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნებისთვის აუცილებელია, რომ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე თითოეულ პირს გააჩნდეს ინდივიდუალური მომხმარებლის სახელი და პაროლი.

ხაზგასასმელია, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის შესაბამისად, მონაცემთა უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნების შეუსრულებლობის დადგენისათვის აუცილებელი არ არის სამართლებრივი შედეგის - მონაცემთა უკანონო დამუშავების ფაქტის დადგომა, საკმარისია მონაცემთა დამმუშავებელმა არ გაითვალისწინოს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული რისკები და თავისი ქმედებით ან უმოქმედობით შექმნას მონაცემთა უკანონო გამჟღავნების საფრთხე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის მიერ ადგილი აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის დარღვევას, ვინაიდან კომპანია ვერ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას მათი უკანონო დამუშავებისგან. აღნიშნული კი წარმოადგენს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას და პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

3. კომპანიის მიერ სს „ბ“-სთვის მონაცემთა დამუშავების დავალება

მოცემულ შემთხვევაში, შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ „A***“-ს გამართულად ფუნქციონირებისთვის კომპანია იყენებს სს „ბ“-ს მომსახურებას, რომელსაც წვდომა აქვს პროგრამაში დაცულ სტუმრების პერსონალურ მონაცემებთან. კომპანიასა და სს „ბ“-ს შორის 2017 წლის ** სექტემბერს დადებული ხელშეკრულების თანახმად კი, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს კომპიუტერული მომსახურების გაწევა, რაც მოიცავს კომპიუტერული სისტემის

შეკეთებისა და გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფას. ამდენად, კანონის მე-2 მუხლის „კ“ პუნქტის საფუძველზე, სს „ბ“ მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს უფლებამოსილ პირს.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, უფლებამოსილმა პირმა მონაცემები შეიძლება დაამუშაოს სამართლებრივი აქტის ან მონაცემთა დამმუშავებელთან დადებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ამ კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებს და უნდა ითვალისწინებდეს ამ კანონით დადგენილ წესებსა და აკრძალვებს. უფლებამოსილმა პირმა მონაცემები უნდა დაამუშაოს შესაბამისი სამართლებრივი აქტით ან ხელშეკრულებით დადგენილ ფარგლებში. ამავე მუხლის მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად კი, მონაცემთა დამმუშავებელი უნდა დარწმუნდეს, რომ უფლებამოსილი პირი მონაცემთა დასაცავად მიიღებს შესაბამის ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომებს. იგი ვალდებულია მონიტორინგი გაუწიოს უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავებას. ამასთანავე, უფლებამოსილ პირთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში განსაზღვრული უნდა იყოს მონაცემთა უსაფრთხოებისათვის ზომების მიღების ვალდებულება. მონაცემთა უსაფრთხოების დაცვისთვის მონაცემთა დამმუშავებლის მიერ ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღების ვალდებულება კანონის მე-17 მუხლით დადგენილი ვალდებულებაა, რომლის მიზანია მონაცემთა უკანონო ან შემთხვევითი განადგურების, შეცვლის, გამჟღავნების, მოპოვების, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისგან დაცვა. შესაბამისად, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია მონიტორინგი გაუწიოს უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავებას, შესაბამის ხელშეკრულებაში ასახოს კანონით გათვალისწინებული წესები, აკრძალვები და მონაცემთა უსაფრთხოებისთვის უფლებამოსილი პირის მიერ ზომების მიღების ვალდებულება, რათა მინიმუმამდე შეამციროს მონაცემთა უკანონო ან შემთხვევითი გამჟღავნებისა თუ სხვაგვარად დამუშავების რისკები.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სასტუმროს სტუმართა პერსონალური მონაცემები უფლებამოსილი პირის მიერ მუშავდება მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში, თუმცა, მხარეთა შორის 2017 წლის ** სექტემბერს დადებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებს სს „ბ“-ს მიერ სასტუმროს სტუმრების პერსონალური მონაცემების დამუშავების უფლებას და ხელშეკრულებაში არ არის გათვალისწინებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესები და აკრძალვები. ამასთან, ხელშეკრულება არ განსაზღვრავს სს „ბ“-ს მიერ პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დაცვის ვალდებულებებსა და გარანტიებს. კანონის თანახმად კი, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია უფლებამოსილ პირს მონაცემთა დამუშავება დაავალოს კანონით დადგენილი წესების დაცვით, რაც მოცემულ შემთხვევაში კომპანიამ ვერ უზრუნველყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის მიერ მონაცემთა დამუშავების სს „ბ“-სთვის დავალებას ადგილი აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით დადგენილი წესების დარღვევით, რაც წარმოადგენს კომპანიის მხრიდან ამავე

კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

4. *კომპანიის მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისათვის ინფორმაციის წარდგენის წესის დარღვევა*

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინსპექტორი უფლებამოსილია შემოწმების განხორციელებისას ნებისმიერი დაწესებულებისაგან, ფიზიკური თუ იურიდიული პირისაგან გამოითხოვოს დოკუმენტები და ინფორმაცია, მათ შორის, კომერციული და პროფესიული საიდუმლოებების შემცველი ინფორმაცია. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამმუშავებელი და უფლებამოსილი პირი ვალდებული არიან, ინსპექტორს ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტი მიაწოდონ დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 10 დღისა, თუ ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს: ინფორმაციის სხვა დაწესებულებაში ან სტრუქტურულ ერთეულში მოძიებასა და დამუშავებას ან მასთან კონსულტაციას ან მნიშვნელოვანი მოცულობის ინფორმაციის/დოკუმენტის მოძიებასა და დამუშავებას.

კომპანიის შემოწმების ფარგლებში, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის მიზნით, შემოწმების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის მიერ 2018 წლის 14 სექტემბერს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი წერილით (რომელიც კომპანიას ჩაბარდა იმავე დღეს) და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის 2018 წლის 12 ოქტომბრის №PDP 6 18 00026209 წერილით (რომელიც ჩაბარდა 2018 წლის 17 ოქტომბერს) კომპანიას ეთხოვა სტუმრის მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის და დოკუმენტაციის წარმოდგენა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ ვადაში - დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 10 დღისა. თუმცა, აპარატის აღნიშნულ წერილებს ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ, კომპანიის მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია. კომპანიას დადგენილ ვადაში არ წარმოუდგენია მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია და არც ინფორმაციის წარმოდგენისთვის განსაზღვრული ვადის გაგრძელების მოთხოვნით მოუმართავს აპარატისთვის.

ვინაიდან, შემოწმების მიზნებისთვის მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენდა აპარატის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მოწოდების საკითხი, აპარატის 2018 წლის 02 ნოემბრის №PDP 7 18 00046956 წერილით კომპანიას კვლავ ეთხოვა 2018 წლის 14 სექტემბრის და 12 ოქტომბრის წერილებით მოთხოვნილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენა, ინფორმაციის დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობის მიზეზების მითითებით. კომპანიამ 2018 წლის 14 სექტემბრის და 12 ოქტომბრის წერილებით მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგინა მხოლოდ აპარატისგან ინფორმაციის განმეორებით (2018 წლის 02 ნოემბრის №PDP 7 18 00046956 წერილით) გამოთხოვის შემდგომ, კერძოდ კი, 2018 წლის 09 ნოემბრის №PDP 6 18 00047053 და 2018 წლის 16 ნოემბრის №PDP 3 18 00047186 წერილებით. აქედან გამომდინარე, კომპანიის მიერ ადგილი აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი ინსპექტორისათვის ინფორმაციისა და დოკუმენტის წარდგენის წესის დარღვევას, რაც ამავე კანონის 53-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინსპექტორის მიერ უფლებამოსილი პირი საქმეს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36-ე მუხლის თანახმად, თუ პირმა ჩაიდინა რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომელთა საქმეებს ერთდროულად განიხილავს ერთი და იგივე თანამდებობის პირი, სახდელი დაედება იმ სანქციის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია უფრო სერიოზული დარღვევებისათვის.

5. მონაცემთა შენახვის ვადები

შემოწმების ფარგლებში გამოვლენილი გარემოებების შესაბამისად დადგინდა, რომ „A***“-ში ასახული მონაცემები ინახება უვადოდ (იშლება მხოლოდ ჯავშნის მოთხოვნა სტუმრის მიერ ჯავშნის გაუქმებისას, გარდა ჯავშნის ვებგვერდ(ებ)ის მეშვეობით მიღებული ჯავშნებისა). კომპანიის მითითებით, პროგრამულ უზრუნველყოფაში მონაცემების წაშლა შეუძლებელია, თუმცა ცალსახად ვერ იქნა დასახელებული კონკრეტული მიზეზი. კომპანიის მითითებით, პერსონალური მონაცემების შემცველი მატერიალური სახის დოკუმენტაციის განადგურებას კი გეგმავს კანონით გათვალისწინებულ ვადებში. ამასთან, „A***“-ში ასახული გაუქმებული ჯავშნის ყველაზე ძველი მონაცემი თარიღდება 2016 წლის 25 სექტემბრით, სტუმრის რეგისტრაციის შესახებ ყველაზე ძველი მონაცემი თარიღდება 2016 წლის 26 სექტემბრით, ხოლო მატერიალური სახით შენახული ყველაზე ძველი სარეგისტრაციო ბარათი თარიღდება 2016 წლის 25 სექტემბრით.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრულია ის პრინციპები, რომელთა დაცვაც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების კანონიერების უზრუნველსაყოფად. კერძოდ, კანონის მე-4 მუხლის „ბ“, „გ“ და „ე“ პუნქტების თანახმად: მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით. მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევადაც მუშავდება ისინი. მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს, ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით. იგივე პრინციპია განმტკიცებული „პერსონალურ მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ კონვენციის (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 28 ოქტომბრის N2010 - IIს დადგენილებით) მე-5 მუხლის „ე“ პუნქტით, რომლის თანახმად, პერსონალური მონაცემები, რომლებიც ექვემდებარებიან ავტომატიზირებულ დამუშავებას, დაცული უნდა იყოს იმ ფორმით, რომელიც იძლევა მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიკაციის საშუალებას მხოლოდ იმ დროში, რაც საჭიროა იმ მიზნებისთვის, რისთვისაც ინახება ეს მონაცემები. აღნიშნული პრინციპის დაუცველობა მონაცემთა დამუშავებას კანონშეუსაბამოდ აქცევს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მონაცემთა

დამუშავების კანონიერების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, რომ კომპანიამ შეაფასოს და განსაზღვროს, თუ რა ვადით და რა მოცულობით არის საჭირო შესაბამისი კანონიერი მიზნების მისაღწევად სტუმრების პერსონალური მონაცემების შენახვა და უზრუნველყოს ისეთი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღება, რომელიც წინასწარ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდგომ შესაძლებელს გახდის მონაცემების წაშლას, განადგურებას ან/და პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით შენახვას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-4, მე-5, მე-12, მე-16, მე-17, 27-ე, 35-ე, 39-ე, 46-ე, 48-ე, 51-ე, 53-ე და 55-ე მუხლების საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. სს „ა“ (ს/კ *********) ცნობილ იქნას სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე, 48-ე, 51-ე და 53-ე მუხლების პირველი პუნქტებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები №0000715, №0000716, №0000717 და №0000718;
2. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ანგარიშის ნომერი 302003242;
3. სს „ა“-ს დაევალოს არაუგვიანეს 2019 წლის 01 მარტისა:
   3.1. უზრუნველყოს ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ სასტუმროში დასაქმებული ყველა იმ პირის წერილობითი ინფორმირება, რომლის სამუშაო ადგილზეც მიმდინარეობს ვიდეოთვალთვალი;
   3.2. უზრუნველყოს იმგვარი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების მიღება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ელექტრონული ფორმით არსებულ მონაცემთა მიმართ შესრულებულ მოქმედებაზე პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირება;
   3.3. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მოთხოვნებს შეუსაბამოს სს „ბ“-სთან 2017 წლის ** სექტემბერს დადებული ხელშეკრულების შინაარსი (უფლებამოსილი პირისათვის სტუმრების პერსონალური მონაცემების დამუშავების დავალების ნაწილში);
   3.4. შეაფასოს და განსაზღვროს, თუ რა ვადით და რა მოცულობით არის საჭირო შესაბამისი კანონიერი მიზნების მისაღწევად სტუმრების შესახებ ინფორმაციის შენახვა და უზრუნველყოს ისეთი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღება, რომელიც წინასწარ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდგომ შესაძლებელს გახდის მონაცემების წაშლას, განადგურებას ან/და პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით შენახვას;
   3.5. გატარებული ღონისძიებების შესახებ აცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს;
4. სს „ა“-ს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

5. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

თამარ ქალდანი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი